ქვეპროგრამის დასახელება: სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი 500 ლარიანი დახმარება

რა არის ქვეპროგრამის არსი?

სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ახალშობილის შეძენის შემთხვევაში მატერიალურ დახმარების გაწევა.

ვინ არიან ქვეპროგრამის ბენეფიციარები?

ქ. თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებსაც ახალშობილის დაბადებისას სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მინიჭებული აქვთ 100 000 და დაბალი სარეიტინგო ქულა.

რას მოიცავს ქვეპროგრამა?

ფულადი დახმარების ოდენობა შეადგენს 500 ლარს, ერთჯერადად.

როგორ უნდა მიიღოს ოჯახმა ბენეფიტი?

თანხა ჩაირიცხება ბენეფიციარი ოჯახის უფლებამოსილი პირის საბანკო ანგარიშზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული ბაზის საფუძველზე, ოჯახის მიერ ახალშობილის ბაზაში დარეგისტრირების შემთხვევაში. აღნიშნულ შემთხვევაში განცხადებით მომართვა არ არის საჭირო. იმ შემთხვევაში, თუ ახალშობილი არ ფიქსირდება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული ბაზაში, ოჯახმა განცხადებით უნდა მიმართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს.

კუთვნილი თანხის დარიცხვა, ორივე შემთხვევაში ხორციელდება მომსახურე ბანკიდან ("თიბისი ბანკი") ბენეფიციარის მიერ ბარათის გატანის შესახებ ინფორმაციის მიღბის შემდეგ.

რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს ოჯახმა ?

- ქორწინების მოწმობის ასლი
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ერთ-ერთი მშობლის მაინც)
- ახალშობილის დაბადების მოწმობის ასლი
- ამონაწერი სარეიტინგო ქულის შესახებ